

სს „ფინკა ბანკი საქართველო“ მომხმარებლებს ატყობინებს, რომ კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით და დამატებითი უსაფრთხოებისთვის „ბარათით მომსახურების ზოგად პირობებში“ შედის ცვლილება-დაზუსტებები, კერძოდ 3.2. პუნქტი და 6.1.12. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.2. ბარათი შეიძლება გამოყენებული იყოს იმ ბანკომატებში, პოს-ტერმინალით და სხვა ტექნიკური / ინტერნეტის საშუალებებით, ავტორიზებულ გადახდებში, სადაც დაშვებულია ვიზას ტიპის ბარათების გამოყენება. ონლაინ ოპერაცია არის ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ბანკის ან შესაბამისი საბარათე სქემის მიერ ბანკის სახელით. ავტორიზებული ტრანზაქცია გულისხმობს, ტრანზაქციის დადასტურებას პინ კოდით და/ან ბარათის უკანა მხარეს განთავსებული უსაფრთხოების კოდით და/ან ამ რეკვიზიტების ერთობლიობით, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით, საბარათე სქემის მონაწილე პირის ან/და ბანკის დანესებული დამატებითი უსაფრთხოების მახასიათებლებით, რაც ასევე შეიძლება ვრცელდებოდეს სხვადასხვა დისტანციურად ონლაინრეჟიმში მომსახურებაზე“.

„6.1.12. დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს ბანკს, მის მიერ ბანკისათვის წარდგენილი ნებისმიერი სახის რწმუნებულების/მინდობილობის სტატუსის/შინაარსის შეცვლის, მათ შორის გაუქმების შესახებ, ასევე საკონტაქტო - ინფორმაციის (მათ შორის ტელეფონის ნომრის) შეცვლის, საბანკო მომსახურებისთვის გამოსაყენებელი მოწყობილობის დაკარგვის, საბუთის ნებისმიერი მონაცემის შეცვლის მათ შორის ვადის გასვლის შესახებ - წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი განთავისუფლდება თანამდევნი შედეგებისა და პასუხისმგებლობისაგან, მათ შორის დამდგარი ზიანის ანაზღაურებისაგან“.

ვებ-გვერდზე გამოქვეყნების თარიღი: 2021 წლის 9 მარტი.  
ცვლილებები ძალაშია: 2021 წლის 8 აპრილიდან.